საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის მიერ შენობის განახლებისათვის მცირე სარემონტო სამუშაოების აუქციონის გარეშე, ელექტრონული ტენდერით სახელმწიფო შესყიდვის სხდომის

staff of the Parliament of Georgia Digitally signed by staff of the Parliament of Georgia Date: 2021.12.02 18:45:04 +04'00'

ოქმი №1

ქ. თბილისი 02/12 **2021 წელი**

ნაწილი I. სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:	**ქეთევან კვინიკაძე**	„საქართველოს პარლამენტის აპარატი“-ს უფროსი
სატენდერო კომისიის წევრები:	**შოთა გოშაძე**	„საქართველოს პარლამენტის აპარატი“-ს უფროსის მოადგილე
	დავით გელაშვილი	„საქართველოს პარლამენტის აპარატი“-ს უფროსის მოადგილე
	გიორგი ცხვედიანი	„საქართველოს პარლამენტის აპარატი“-ს უფროსის მოადგილე
	ჰამლეტ სხულუხია	„საქართველოს პარლამენტის აპარატი“-ს სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი
	დავით ჭურაძე	„საქართველოს პარლამენტის აპარატი“-ს საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი
	ბათარ ჩანქსელიანი	„საქართველოს პარლამენტის აპარატი“-ს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი მომსახურების განყოფილების უფროსი
სატენდერო კომისიის აპარატის წევრ(ებ)ი:	**თათია უშვერიძე**	„საქართველოს პარლამენტის აპარატი“-ს სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესყიდვებისა და მომარაგების განყოფილების უფროსი
	მარიამ ჩახავა	„საქართველოს პარლამენტის აპარატი“-ს სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესყიდვებისა და მომარაგების განყოფილების მთავარი სპეციალისტი

ნაწილი II. დღის წესრიგი:

საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ, 2022 წლის სახელწიფო ბიუჯეტიდან შემსყიდველისათვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის სასახლის შენობის განახლებისათვის მცირე სარემონტო სამუშაოების (CPV 45453100) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, აუქციონის გარეშე, ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობების, სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების პროექტის განხილვა-დამტკიცება.

ნაწილი III. მოისმინეს და განიხილეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა მოისმინეს და განიხილეს სატენდერო კომისიის აპარატის წევრის მიერ წარდგენილი:

- ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ წინამდებარე ტენდერის განხორციელების მიზნით, ჩატარებული წინამოსამზადებელი სამუშაოების, ბაზრის კვლევის შედეგების, ასევე სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებული ასიგნებების საფუძველზე **შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა - 100,700.00 ლარი,** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადის (მათ შორის დღგ-ს) გათვალისწინებით;

- ❖ სატენდერო პირობების, სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო განცხადების პროექტი.

სატენდერო კომისიის წევრების მიერ ერთხმად მოწონებული იქნა სატენდერო პირობების, სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო განცხადების პროექტი.

ნაწილი IV. კომისიამ დაადგინა:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 პრიმა მუხლის მე-4 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს, აუქციონის გარეშე, ელექტრონული ტენდერის სავარაუდო ღირებულება ამავე ოქმის III ნაწილში მითითებული თანხის ოდენობით, ასევე დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შესახებ სატენდერო პირობები, განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თანდართული სახით.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 პრიმა მუხლის მე-2 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს, აუქციონის გარეშე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის განთავსება და გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ნაწილი V. სატენდერო კომისიისა და კომისიის აპარატის წევრების ხელმოწერები:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:	**ქეთევან კვინიკაძე**	_____
სატენდერო კომისიის წევრები:	**შოთა გოშაძე**	_____
	დავით გელაშვილი	_____
	გიორგი ცხვედიანი	_____
	ჰამლეტ სხულუხია	_____
	დავით ჭურაძე	_____
	ბათარ ჩანქსელიანი	_____
სატენდერო კომისიის აპარატის წევრ(ებ)ი:	**თათია უშვერიძე**	_____
	მარიამ ჩახავა	_____